



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

წყლის რესურსების ინჟინერია, სადოქტორო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დასახელება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

15.11.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

07.03.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	12
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	18
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	21
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	27

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211 349 192
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	საულიუს ვასარევიჩუსი, ვილნიუსის გედიმინას ტექნიკური უნივერსიტეტი, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ინასარიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მამუკა ბენაშვილი, აგრარული უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	აკაკი ჩალათაშვილი, ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF)
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შ.პ.ს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი არქანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	წყლის რესურსების ინჟინერია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Water Resources Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	გარემოს ინჟინერიის დოქტორი Doctor of Environmental Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	-

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

სასწავლო პროგრამა არის შესაბამისი, დროული და არსებითი, და ამზადებს ისეთ დოქტორანტებს, რომლებიც ფლობენ წყლის რესურსების ინჟინერიისთვის საჭირო აუცილებელ უნარებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სტუდენტებისა და პერსონალის მხარდასაჭერად უნივერსიტეტს აქვს კარგი ბაზა, აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსები. პედაგოგები არიან კვალიფიციური, შესაბამისი და აქტიურად არიან ჩართული კვლევის პროცესში. სტუდენტები ძირითადად კმაყოფილები არიან სასწავლო პროგრამის ხარისხით, გარემოთი, მათთვის შემოთავაზებული შესაძლებლობებითა და მხარდაჭერით. მათ მოსწონთ სწავლა და კვლევაში ჩართულობის შესაძლებლობა. დამკვიდრებული ხარისხის შეფასების სისტემა ეფექტურია. დამსაქმებლები აცნობიერებენ კარგი, გამოცდილი მკვლევარების საჭიროებას. უნივერსიტეტი აღიარებულია ეროვნულ დონეზე და გააჩნია კვლევის კარგი შედეგები.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სასწავლო პროგრამა არის შესაბამისი, თანამედროვე და კარგად განხორციელებული. მკაფიოდ ჩანს მისი შესაბამისობა წყლის რესურსების დაცვასთან.

▪ რეკომენდაციები

-

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 1.1 განახორციელეთ მეტი ღონისძიება სასწავლო პროგრამის უფრო მასშტაბური ინტერნაციონალიზაციისთვის: მოხილობა, პუბლიკაციები, კონფერენციები, პროექტები და ა.შ.
- 1.2 სასურველია პროექტების განაცხადების მომზადებასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების შემუშავება.
- 1.3 სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ, ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები, პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.
- 2.2 უფრო ფართოდ ჩართეთ დოქტორანტები მათ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.
 - დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა, გააკეთონ პრეზენტაციები საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციებში.
 - დოქტორანტებმა გამოაქვეყნონ მეტი სტატია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

2.3 სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს წყლის რესურსების ინჟინერიის სფეროში.

2.4 სასურველია უცხოელი მეცნიერების მოწვევა, რომლებიც დოქტორანტებისთვის გააკეთებენ პრეზენტაციებს გარემოს ინჟინერიის სფეროში სიახლეების შესახებ.

3.1 აუცილებელია დოქტორანტების წახალისება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უფრო აქტიური მონაწილეობისკენ.

3.2 დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის გასაუმჯობესებლად ამოცანები ყოველი სასწავლო წლისთვის ცალ- ცალკე უნდა დაიგეგმოს.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

-

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უნივერსიტეტის დეტალური არგუმენტირებული პოზიციის გათვალისწინებით, ადრე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები სასწავლო პროგრამის უფრო ფართო ინტერნალიზაციისა და სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ გამოკითხვებთან დაკავშირებით წარმოდგენილია რჩევებში. სასწავლო პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა დეტალურად განმარტა არსებული და სამომავლო გადაწყვეტილებები.

ამ ცვლილებების შემდეგ ყველა I, II, III, IV და V სტანდარტის მიხედვით შეფასებები ფასდება როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები არის მკაფიოდ განსაზღვრული, კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროში შეზღუდული. დადგენილია პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის რუკა, რომელიც განმარტავს, რომ პროგრამის თითოეული მიზანი მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების კომბინაციით. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი ამოცანებია მოამზადოს: წყლის წყაროს მდგრადობის სპეციალისტი, რომელიც წყაროების რაციონალური გამოყენებისა და ექსპლუატაციისთვის ფლობს უახლეს ინოვაციურ გარემოსდაცვით მეთოდებსა და ტექნოლოგიებს; სპეციალისტი, რომელიც ჩართულია აკადემიურ საქმიანობაში და, შესაბამისად, აქვს წყლის რესურსების ინჟინერიის სფეროში ინოვაციური კვლევების განხორციელების და რეალიზაციის უნარები და აქვს დარგის მუდმივად განვითარებადი ხედვა, რომელიც ადვილად ახერხებს აკადემიურ და სამეცნიერო-კვლევით წრეებში ინტეგრაციას; სპეციალისტი, რომელსაც აქვს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროს წინაშე არსებული გლობალური ეკოლოგიური გამოწვევების ანალიზისა და აკადემიური და პროფესიული ლიდერობის უნარები. დოქტორანტურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაცია. ამიტომ, კვლევების განხორციელებისას სასურველია დოქტორანტების გამგზავრება უცხოურ უნივერსიტეტებში, უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების ხელშეწყობა და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის დასახული მიზნების მიღწევას.
- პროგრამის მიზნები აკმაყოფილებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნებს.
- პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, ამოცანებსა და სტრატეგიას.
- აკადემიური პერსონალი იცნობს პროგრამის მიზნებს და იცის როგორ განახორციელოს ისინი.
-

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- განახორციელეთ მეტი ღონისძიება სასწავლო პროგრამის უფრო მასშტაბური ინტერნაციონალიზაციისთვის: მობილობა, პუბლიკაციები, კონფერენციები, პროექტები და ა.შ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დოქტორანტების მომზადებისთვის საჭირო სირთულეს და აკმაყოფილებს ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტების მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგებია: გარემოს ინჟინერიის სფეროში უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის მიღება, მისი სისტემა/ კრიტიკული მსჯელობა განსაზღვრავს წყლის წყაროების რაციონალურ გამოყენებას და მართვას, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით; ახალი სამეცნიერო თუ ანალიტიკური მიდგომების გამოყენებით წყალმომარაგების/ კანალიზაციის ინოვაციური სისტემის დაგეგმვის, მშენებლობისა და მოვლის სტრატეგიის შემუშავება; ინოვაციური მეთოდოლოგიური საშუალებების გამოყენებით წყლის გაწმენდისა და წყლის რესურსების საინჟინრო მართვის უახლესი (მწვანე) ტექნოლოგიების დამოუკიდებლად განხორციელება; ინოვაციებისა და დამოუკიდებლობის დემონსტრირების მიზნით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, თანამედროვე კვლევითი პროექტების მართვა გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში უახლეს საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაყრდნობით და წყლის ობიექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების კარგად მომზადებული რუკა;
- გათვალისწინებულია შრომის ბაზრის საჭიროებები და დამსაქმებლის მოთხოვნები.
-

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია პროექტების განაცხადების მომზადებასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების შემუშავება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სრულად აკმაყოფილებს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ დარგისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. შეფასების მექანიზმი მოიცავს: პროგრამის სწავლის შედეგებსა და თითოეული კურსის სწავლის შედეგებს შორის შესაბამისობის მატრიცას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი გაზომვადია და აზუსტებს თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის რეალისტურ გზებს, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, რომელიც ასახავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ ფასდება. ამავდროულად, თითოეულ სილაბუსში გაწერილია შესაბამისი შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის შესაფასებლად. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით პერიოდულად ტარდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მათი სამიზნე ნიშნულებთან შედარება. სასწავლო პროცესისა და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ასევე ახორციელებს ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, რომელიც შედგება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისგან. საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხდება სტუდენტების მუდმივი გამოკითხვა და ეწყობა ჯგუფური შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან. ფაკულტეტზე პერიოდულად იმართება შეხვედრები დამსაქმებლებთან და დარგის სპეციალისტებთან საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის, ასევე დამსაქმებელთა ინიციატივებისა და მოთხოვნების შეჯამებისა და შესაბამისი პროგრამული ცვლილებების დაგეგმვის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მომზადდა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე.

- ჩატარდა სწავლის შედეგების შეფასება.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ, ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები, პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ- ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. მისი შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება განათლების დონეს. პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები თანამიმდევრულად და ლოგიკურადაა დალაგებული. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ECTS- ის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გათვალისწინებულია ახალი კვლევის შედეგები და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კარგად მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით.

- დაინტერესებულმა მხარეებმა დაადასტურეს, რომ ისინი მონაწილეობდნენ პროგრამის შემუშავებაში.
- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები ლოგიკურად არის ორგანიზებული.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/ საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/ საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი კარგად არის მომზადებული. გამოყენებულია შესაბამისი ლიტერატურა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მერვე საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება სწავლის შედეგებს. სილაბუსებში განსაზღვრული სასწავლო მასალა ეფუძნება გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში არსებულ მიღწევებს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ისინი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მერვე დონეს.
- თითოეული სასწავლო კურსისთვის შერჩეულია კრედიტების შესაბამისი რაოდენობა.
- საგანმანათლებლო კურსებში შედის უცხოური ლიტერატურის ახალი წყაროები.
- სასწავლო კურსებს უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო მიზნები, სწავლის მათთან პროგრამის შესაბამისობა	პროგრამის შედეგები და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	და	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	და	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	და	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ: კვლევითი პროექტი, სადაც ასახულია კანდიდატის კვლევის მიზანი და მიმართულება; სავალდებულოა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის/ დოკუმენტის წარდგენა. აპლიკანტი, რომელსაც არ შეუძლია ზემოაღნიშნული სერთიფიკატის წარდგენა, ვალდებულია ჩააბაროს გამოცდა ინგლისურ ენაში სტუ- ს კომპიუტერულ ცენტრში. აპლიკანტებს, რომლებმაც უმაღლესი განათლების ერთი საფეხური ინგლისურ ენაზე გაიარეს, არ მოეთხოვებათ გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარდგენა; ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას ფაკულტეტის დროებით კომისიასთან.

დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი და პირობები მოცემულია სტუ- ს სადოქტორო პროგრამის დებულებაში (მუხლი 3).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 2 თებერვლის No10/ 5 ბრძანებით „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესახებ“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოთხოვნები აპლიკანტებისთვის. დადებითად ვაფასებ კვლევითი პროექტის მომზადების მოთხოვნას და ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნას.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სამართლიანია, და წინასწარ არის საჯაროდ გამოცხადებული.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის No133/ 5 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება“ 09.09.2013 დანართი 11.
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- სტუ-ს ვებგვერდი <https://gtu.ge/>
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან,

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორანტების პრაქტიკული, სამეცნიერო, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას მიმდინარე პროექტებში მათი ჩართვით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებით. მათი უმეტესობა საქართველოშია. ამიტომ სასურველია/ რეკომენდებულია, რომ ერთი პუბლიკაცია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალში და მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში სავალდებულო გახდეს. სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური პირები (პროფესორები და მასწავლებლები) ხელმძღვანელობენ სტუდენტების მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში, მათ ჩართულობას სამეცნიერო- პრაქტიკული პროექტების განხორციელებაში, მათ ჩართულობას უნივერსიტეტის როგორც სავაკულებს, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო- კვლევითი ერთეულის მიმდინარე კვლევებში, საერთაშორისოდ და ქვეყნის მასშტაბით.

ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალმომარაგების ინსტიტუტის ობიექტები, რამაც გამოავლინა, რომ პრაქტიკული კომპონენტები მაღალი ხარისხისაა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს პრაქტიკულ გარემოში განავითარონ მიღებული თეორიული ცოდნა.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო და პრაქტიკული კონფერენციები და სხვადასხვა სემინარები, რომლებშიც სტუდენტები მონაწილეობენ. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ წვლილი შეიტანონ კვლევით პროექტებში, თუმცა ამჟამად სტუდენტები არ არიან ჩართულნი წყლის რესურსების ინჟინერიაში, რადგან პროგრამა ახალია. კვლევის დროს დოქტორანტებს ხელმძღვანელობენ კვალიფიციური მკვლევარები, ხელმძღვანელები და ლაბორატორიების ხელმძღვანელები. ისინი აფასებენ დოქტორანტების მუშაობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოქტორანტების მიმართ არსებობს მკაფიო მოთხოვნები კონფერენციებში მონაწილეობასა და პუბლიკაციებთან დაკავშირებით.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "წყლის რესურსების ინჟინერია";
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 9 სექტემბრის No133/5 ბრძანება.
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტური კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის წესი https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mob_instr_14_07_22_SD.pdf
- გასაუბრებები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უფრო ფართოდ ჩართეთ დოქტორანტები მათ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.
- დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა, გააკეთონ პრეზენტაციები საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციებში.
- დოქტორანტებმა გამოაქვეყნონ მეტი სტატია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული განვითარება უნარების	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება დოქტორანტურის განათლების დონეს, სასწავლო კურსების მიმდინარე შინაარსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

გასაუბრებებმა და ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებულმა დოკუმენტაციამ დაადასტურა, რომ წყლის რესურსების ინჟინერიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ გაკვეთილებს, ლაბორატორიულ მუშაობას, პრაქტიკას, დამოუკიდებელ მუშაობას, კონსულტაციას და სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობას.

კონკრეტული საგანმანათლებლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლებისა და სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მათ შორის: დისკუსია/ დებატები; ერთობლივი მუშაობა; შემთხვევის შესწავლა; დემონსტრაცია; ინდუქციური და დედუქციური სწავლება; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური / ზეპირი; წერიითი მეთოდი; განმარტებითი მეთოდი და პრეზენტაცია.

თითოეული აკადემიური საგნის სწავლებისა და სწავლის მეთოდი შეესაბამება განათლების დონეს, საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს, დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს დოქტორანტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ურთიერთობას როგორც დოქტორანტებსა და პერსონალს, ასევე თავად სტუდენტებს შორის. დოქტორანტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტის მონაწილეობას სასწავლო პროცესში შესაბამისი ავტონომიურობითა და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარის, მათ შორის კრიტიკული და ანალიტიკური უნარის განვითარებაზე. ყველა სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სადისერტაციო თემა და, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის ინტერესისა და აკადემიური მზაობის შესაბამისად, მისთვის შეიძლება შემუშავდეს ინდივიდუალური პროგრამა. აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დისტანციურ სწავლებას სასწავლო სფეროსთვის შესაბამისი სასწავლო მეთოდებით, რომლებიც არ ცვლის პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროგრამა (სილაბუსი) მოიცავს სხვადასხვა სასწავლო აქტივობას: დისკუსიები, თანამშრომლობითი სწავლა, თანამშრომლობითი მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა, ვერბალური, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევის შესწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და ა.შ.
- თითოეული სასწავლო კურსი იყენებს მოქნილ საგანმანათლებლო მეთოდებს კურსისა და სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა "წყლის რესურსების ინჟინერია";
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრებები სტუ- ს ადმინისტრაციულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დამსაქმებლებთან.
- სწავლა-სწავლების მეთოდები და შესაბამისი აქტივობები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს წყლის რესურსების ინჟინერიის სფეროში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური სისტემა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. შეფასების სისტემა მოცემულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რასაც პირდაპირ მოწმობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „წყლის რესურსების ინჟინერია“, ასევე სასწავლო კურსების სილაბუსები და სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება, „სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესახებ“.

სტუ ავასებს სტუდენტების ცოდნას 100-ბალიანი სისტემით, რომელიც დადგენილია ეროვნული კანონმდებლობით და შეესაბამება ბოლონის პროცესს. ამასთან, თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუალედურ გამოცდას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს, ხოლო შეფასების მეთოდი იზომება შეფასების კრიტერიუმებით.

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. შეფასების პროცედურები თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციასთან. შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კომპონენტის სწავლის შედეგებს და განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით ან მარეგულირებელი დოკუმენტით. სტუდენტებმა წინასწარ იციან უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის და შეფასების მოქმედი რეგულაციების, შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ. ასევე იცნობენ შეფასების შესაბამის კრიტერიუმებს. უნივერსიტეტში შესაძლებელია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრება, რომლის შესახებაც სტუდენტებმა წინასწარ იციან. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსებში (სილაბუსებში) გათვალისწინებული საკითხები ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სასწავლო კურსი ჩაბარებულად ითვლება, თუ დოქტორანტი შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შედეგად დააგროვებს 51 და მეტ ქულას. შუალედურ შეფასებებში არანაკლებ 30 ქულის დაგროვების შემთხვევაში დოქტორანტი დაიშვება დასკვნით გამოცდაზე. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი კურსებისაგან, რომლებიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ და მეორე სემესტრში. სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა შეადგენს 50 კრედიტს, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსების – 10 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტები/ეტაპებია: კოლოკვიუმი 1; კოლოკვიუმი 2; კოლოკვიუმი 3; ნაშრომის წინასწარი დაცვა; ნაშრომის დასრულება და დაცვა.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. არსებობს სადოქტორო დისერტაციის მომზადების, დაცვისა და შეფასების მარეგულირებელი წესები, რომლებიც ითვალისწინებს დისერტაციის ანტიპლაგიატის პროგრამაში გატარების პროცედურას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას.
- სტუდენტებმა იციან დისერტაციის აკადემიური სტილის მოთხოვნების შესახებ.

- უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმი და სტუდენტებმა იციან ამის შესახებ.
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხორციელდება უსდ-ს დისერტაციის შეფასების და დაცვის პროცედურების თანახმად, სადისერტაციო კომისიის მონაწილეობით.
- დისერტაციის შეფასებაში მონაწილეობს გარე შემფასებელი.
- სადოქტორო დისერტაციის დაცვა არის საჯარო.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „წყლის რესურსების ინჟინერია“;
- სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსი).
- ინტერვიუ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის განათლების ხარისხის განვითარების სამსახურების პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უცხოელი მეცნიერების მოწვევა, რომლებიც დოქტორანტებისთვის გააკეთებენ პრეზენტაციებს გარემოს ინჟინერიის სფეროში სიახლეების შესახებ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო

პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდამჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტი უნივერსიტეტიდან იღებს ყველა საჭირო და დეტალურ ინფორმაციას სასწავლო პროცესის რეგლამენტის, დაგეგმვისა და თვითმართვის შესახებ ფაკულტეტის პერსონალისა და სამეურვეო საბჭოს მეშვეობით. სტუდენტი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას ფაკულტეტის ვებგვერდის მეშვეობით.

არსებობს სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის ისეთი საშუალებები, როგორცაა:

- 1) ინფორმაციის მიღება ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისაგან; აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულება ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციას;
- 2) უნივერსიტეტის ვებგვერდი, რომელიც შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას სასწავლო პროცესის, პროგრამებისა და საქმიანობის შესახებ;
- 3) თვალსაჩინო ადგილას განთავსებული საინფორმაციო დაფები;
- 4) ფაკულტეტის სამეურვეო საბჭო, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა სტუდენტების კონსულტაცია, რათა უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, სწორად და მიზანმიმართულად აირჩიონ არჩევითი კურსები, სწორად განსაზღვრონ თავიანთი პროფესია, მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება და გახდნენ კონკურენტუნარიანი თანამედროვე ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში: ყოველწლიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, სავლე სემინარებში და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო განრიგის შემუშავებას, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადებას. აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა, რომელის მიზანია, საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის პერიოდული შეფასება და ასევე დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის განსაზღვრა. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში, პროექტებში და კონფერენციებში. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია უმაღლესმა სასწავლებელმა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის დონე და სტუდენტებს შესთავაზოს უფრო მრავალმხრივი და მრავალრიცხოვანი პროექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადმინისტრაციული, აკადემიური, კვლევითი პერსონალი ჩართულია სტუდენტების კონსულტირებაში როგორც სასწავლო პროცესის, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობის შესახებ.
- სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდამჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების კუთხით.
- დოქტორანტებს აქვთ კარგი შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ პროექტებში, ღონისძიებებსა და კონფერენციებში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- აუცილებელია დოქტორანტების წახალისება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უფრო აქტიური მონაწილეობისკენ.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებს ხელმძღვანელობს და კონსულტაციას უწევს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. დოქტორანტთა ხელმძღვანელის უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები განსაზღვრულია სადოქტორო პროგრამის დებულებით. ხელმძღვანელები რეგულარულად აძლევენ რჩევებს დოქტორანტებს. კონსულტაციები შეეხება კვლევით პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს, კონფერენციებში მონაწილეობას, სამეცნიერო სტატიების მომზადებას და სხვა აქტივობებს. ხელმძღვანელები მართავენ სამეცნიერო დისკუსიებს თავიანთ დოქტორანტებთან. დოქტორანტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებსა და კოლოკვიუმებში. გარდა ამისა, ფაკულტეტი აფინანსებს მათ მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.

ახალი სასწავლო პროგრამა. არც ერთი სადოქტორო დისერტაცია არ იყო წარდგენილი შესაფასებლად.

დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის დებულებით, რომელიც უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობას და დისერტაციის ხარისხიანად შესრულებას. დოქტორანტურის დებულების თანახმად, სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი (მათ შორის, მოწვეული), ემერიტუსი, აგრეთვე უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტის, ცენტრის) მთავარი ან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, რომელსაც აქვს სამეცნიერო კვლევითი

გამოცდილება დოქტორანტის კვლევითი თემის მიმართულებით და უზრუნველყოფს: საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულების კოორდინაციას; რეგულარული კონსულტაციებს დოქტორანტებთან კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე კვლევის დიზაინზე, კვლევის მეთოდებზე, პროფესიულ განვითარებაზე, დისერტაციის/სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესზე, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის პროცესის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის, სამეცნიერო სტატიების რეგენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნებისა და სხვა შესაბამისი მიმართულებების შესახებ.

თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს: უნივერსიტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის უფროსი ან უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, აგრეთვე უნივერსიტეტთან გაფორმებული შესაბამისი ინსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი გამოცდილების მქონე პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი. თანახელმძღვანელი სთავაზობს დოქტორანტს დახმარებას სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში, როგორც ხელმძღვანელთან, ასევე დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში დოქტორანტს უფლება აქვს აკადემიური კათედრის ხელმძღვანელთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით მიმართოს რექტორს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების შესახებ. აკადემიური პერსონალის გამოცდილება და კვალიფიკაცია, ისევე როგორც მათი რაოდენობა, უზრუნველყოფს, რომ დოქტორანტებს ჰყავდეთ მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	-
მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	-
თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტს სათანადოდ აქვს მომზადებული მარეგულირებელი დოკუმენტები დოქტორანტების ხელმძღვანელების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.
- ხელმძღვანელები დოქტორანტებს რეგულარულად უტარებენ კონსულტაციებს.
- უნივერსიტეტმა შეიმუშავა ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის გასაუმჯობესებლად ამოცანები ყოველი სასწავლო წლისთვის ცალ- ცალკე უნდა დაიგეგმოს.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლების კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციებით, რომლებიც აუცილებელია სტუდენტების დასახმარებლად პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კომპეტენციები პროგრამის სასწავლო

სფეროში. იგი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შეფასებაში, განვითარებასა და განხორციელებაში. სადოქტორო პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. შემუშავებულია პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა. პერიოდულად ხდება მისი განახლება. პერსონალის დატვირთვის მიხედვით, საათები ეთმობა სტუდენტთა კონსულტაციას. სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით, პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია; აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. დოქტორანტების რაოდენობა შეესაბამება მათი ხელმძღვანელების დატვირთვას.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	11	11	11	11
- პროფესორი	7	7	7	7
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	2	2	2	2

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ კვალიფიციურ აკადემიურ და სამეცნიერო ადამიანურ კაპიტალთან, CV-ები და სამეცნიერო მიღწევები.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
- დოქტორანტებს ემსახურება შესაბამისი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი შესაბამისი კომპეტენციით (ფაკულტეტის/დაწესებულების დონეზე კარგად დამკვიდრებული კარგი პრაქტიკა), რომელიც დადასტურდა მსგავსი პროგრამების დოქტორანტებთან გასაუბრებისას.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

○ -
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება წყლის რესურსების ინჟინერიის მიმართულებით.

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შეიმუშავა გამჭვირვალე კვალიფიკაციის მოთხოვნები ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისთვის (სამეცნიერო საქმიანობა შეფასების კრიტერიუმებია: პუბლიკაციები, მონაწილეობა კონფერენციებსა და პროექტებში). ისინი შეესაბამება სადოქტორო დონის ხელმძღვანელობის მოთხოვნებს და პასუხობენ სადოქტორო პროგრამის სპეციფიკას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

ეს არის ახალი სადოქტორო სასწავლო პროგრამა და ნომრები არ არის მითითებული თვითშეფასების ანგარიშში.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, ავილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კვალიფიკაციის გამჭვირვალე მოთხოვნები ხელმძღვანელებისთვის

- ხელმძღვანელები არიან მოქმედი მკვლევარები, ისინი აქვეყნებენ კვლევის შედეგებს სამეცნიერო სტატიებში და წარმოადგენენ კონფერენციებზე (CV და ინტერვიუები).

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად ანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას და ამავე დროს ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული კადრების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა პროფესიული განვითარების ცენტრი, სადაც აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კარიერის დაგეგმვაში; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებში; სწავლის შედეგებსა და მათ შეფასებაში. თვითშეფასების ანგარიში შეიცავს სხვადასხვა ტრენინგის აღწერას, რომლებსაც ესწრებოდნენ საქართველოს უნივერსიტეტის თანამშრომლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს აკადემიური პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების გამოკითხვას.
- უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს პრიორიტეტებს ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით პროექტებში უნივერსიტეტის ხელშეწყობითა და მხარდაჭერით.
- უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის შეფასებას აკადემიურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა საქმიანობაში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო სფეროს შესაბამისი საჭირო ინფრასტრუქტურით (აღჭურვილი სამეცნიერო ლაბორატორიები), საინფორმაციო რესურსებით (ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები) და ტექნიკური აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. დოქტორანტებთან დისკუსიიდან ჩანს, რომ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან რესურსების ხელმისაწვდომობის შესახებ და იციან როგორ გამოიყენონ ისინი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა დაკავშირებულია მრავალ სამეცნიერო მონაცემთა ბაზასთან.
- პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური რესურსებით;
- ტექნიკური ბაზა შედგება 5 სამეცნიერო ლაბორატორიისგან აღჭურვილობით და საკონსტრუქციო და სამშენებლო კვლევების ცენტრისგან.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4. მატერიალური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფაკულტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის ფინანსური რესურსები. სამშენებლო ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი საშუალებას იძლევა სადოქტორო სასწავლო პროგრამის დაფინანსებას და შეესაბამება პროგრამულ საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სახელმწიფო ბიუჯეტი დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს.
- ყოველწლიურად, სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტი დამოუკიდებლად შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○ -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო სასწავლო პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, რომელიც ეფექტურად მუშაობს. ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები გაანალიზებულია და ფასდება სადოქტორო სასწავლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. სტუ-ში ხარისხის შიდა

უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისთვის, ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია შეფასების შედეგების გაანალიზებაში, სტრატეგიული განვითარების სამსახურთან მიზნების იდენტიფიცირებისა და განვითარების ტენდენციების გამოვლენის მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია უნივერსიტეტში და შეფასების შედეგები, როგორც წესი, გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს და ხელს უწყობს პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფს შორის შესაბამისი დავალებების განაწილებამ უზრუნველყო სისუსტეების და მომავალი განვითარების შესაბამისი შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესში გამოიყენება საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

უნივერსიტეტმა დაწერა „მრჩეველთა საბჭოს“ პრაქტიკა და არსებული პრაქტიკით სამშენებლო ფაკულტეტამც ისარგებლა. საბჭოს წევრები მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვაში, ასევე სწავლების შედეგებისა და პროგრესის შეფასებაში. ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მოდიფიცირებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფექტურია.
- სადოქტორო სასწავლო პროგრამა შემუშავებულია სპეციალურად შექმნილი ჯგუფის მიერ თანამშრომლობითი პროცესის საშუალებით, რომელშიც მონაწილეობენ აკადემიური პერსონალი, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ასევე მოწვეული პერსონალი.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულობის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელი და ტრენინგში მონაწილე სხვა პირები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების წესი
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფაკულტეტის კომისიის ოქმები
- თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- - რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისხის გარე შეფასებისთვის ფაკულტეტი და აკადემიური პერსონალი იყენებს საკუთარ პარტნიორ კონტაქტებს, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილია უცხოური საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციებით.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელსაც ატარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) და განვითარების კოლეგიალური განხილვის პროცესის საშუალებით. უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებები ეცნობა პროგრამის გუნდს შემდგომი განხილვისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამა გადაეცა ადგილობრივ და/ან უცხოელ კოლეგებს, რომლებიც მუშაობენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, პროგრამის შინაარსისა და კვლევის პოტენციალის გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, იგი შეაფასა სლოვაკეთის ნიტრაშის სოფლის მეურნეობის უნივერსიტეტის ლანდშაფტის ინჟინერიის ინსტიტუტის პროფესორმა, ბილისტოკის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა, კვიპროსის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორმა, ტაშკენტის ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტის ჰიდროტექნიკისა და ჰიდროინფორმატიკის დეპარტამენტის დირექტორმა (უზბეკეთი), კაუნასის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორმა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და ინჟინერიის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. მიღებულმა გამოხმაურებებმა და შეფასებებმა ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას, ჩართული პროფესორებისა და ხელმძღვანელების კვალიფიკაციას, კვლევებს და პროგრამის ფარგლებში გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში უახლესი მიღწევების განხორციელების პოტენციალს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხუთი დადებითი გამოხმაურება უცხოური უნივერსიტეტებიდან სადოქტორო სასწავლო პროგრამის შესახებ.

- ფაკულტეტმა გადადგა ღირებული ნაბიჯები საინჟინრო და ტექნოლოგიების აკრედიტაციის საბჭოსგან (ABET) აკრედიტაციის მისაღწევად.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- გარე შეფასებები.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. ხარისხის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა რეგულარულად იყენებს შესაბამის პროცედურებს, რათა შეფასდეს, რამდენად არის მიღწეული სტუდენტის შედეგები. ამ შეფასებების შედეგები სისტემატურად გამოიყენება პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით შესაძლებელია სხვა ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენებაც.

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი აერთიანებს შიდა და გარე დაინტერესებულ პირებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების მთავარ საშუალებას. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი

მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იყენებს შეფასების შედეგებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამა სარგებლობს „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიის“ პრაქტიკით, რომელიც პერიოდულად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, მის უზრუნველყოფას შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით და დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას; ხოლო უნივერსიტეტში თვითშეფასების მომზადების პროცესის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის წინსვლის მიზნით. საფაკულტეტო კომისიას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამიზნე ნიშნულების გამოყენებით უზრუნველყოფს პროგრამის შედარებას საუკეთესო ხელმისაწვდომ პრაქტიკასთან კონკურენტუნარიანი და ინდივიდუალური პროგრამის შემუშავების მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს სხვა საგანმანათლებლო პროგრამების გამოცდილებას, ასევე დარგის წამყვანი ინჟინრებისა და უცხოელი სპეციალისტების გამოცდილებას. პროფესორებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რომლებიც მონაწილეობდნენ კოლეგიალური შეფასების პროცესში, ასევე შეეძლოთ აღნიშნათ მსგავსება და გაეზიარებინათ თავიანთი შეხედულება ამ მეთოდების დანერგვის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სადოქტორო სასწავლო პროგრამას და იძლევა რეკომენდაციებს მისი გაუმჯობესებისთვის.
- ხარისხის შეფასების პროცესში აქტიურად მონაწილეობს საფაკულტეტო კომისია.
- შეფასების პერიოდულობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.
- შეფასების პროცესი ტარდება როგორც უშუალოდ შეხვედრებზე, ასევე გამოკითხვის მეთოდით. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა, გაანალიზდა და განისაზღვრა მისი ძლიერი და სუსტი მხარეები პროგრამის შეფასების მიზნით.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ანალოგიური პროგრამების სამიზნე ნიშნულებთან შედარება
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: წყლის რესურსების ინჟინერია, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტი				
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
საულიუს ვასარევიჩიუსი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
სრული სახელი, ხელმოწერა

ნინო ინასარიძე

სრული სახელი, ხელმოწერა

მამუკა ბენაშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა

აკაკი ჩალათაშვილი

სრული სახელი, ხელმოწერა
თამთა ცხოვრებაძე

სრული სახელი, ხელმოწერა

გიორგი არქანია